ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5967231

ნომერი: AR1900586

თარიღი : 25.05.2022

გაცემის თარიღი : 03.06.2022

გაცნობის თარიღი : 10.06.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სტეფანე ჭრელაშვილის ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კაშია პ/ნ 31001051434
- მცხეთა მუხრანის ქ. N 26

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2022 წლის 25 მაისის №AR1900586 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 25

მაისს №AR1900586 განცხადებით მომართა დავით კაშიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 06 მაისის №5897244 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 06 მაისის №5897244 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სტეფანე ჭრელაშვილის ქუჩა №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.13.051.013) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 06 მაისიდან 2025 წლის 06 მაისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2022 წლის 06 მაისის №5897244 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 7790.97 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 7790.5 კვ.მ., საოფისე ფართობი 5208.0 კვ.მ-ის ნაცვლად 5257.1 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 3729.35 კვ.მ-ის ნაცვლად 3734.6 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 1872.39 კვ.მ-ის ნაცვლად 2070.91 კვ.მ., საერთო ფართობი 22019.74 კვ.მ-ის ნაცვლად 22272.14 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ საცხოვრებელ, საოფისე და შიდა ავტოსადგომების ფართობებში შეყვანილია კოლონების და სავენტილაციო შახტების ფართები. აღნიშნული ფართები დათვლილ უნდა იქნას შიდა კონტურზე, კოლონების და სავენტილაციო შახტების გარეშე. ასევე, წარმოდგენილ გეგმებზე დატანილი საზაფხულო ფართების ჯამური მაჩვენებელი და მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებულია ამავე ფუნქციის ფართობის მაჩვენებლები ერთმანეთთან შეუსაბამოა. გარდა ამისა, გენ-გეგმაზე არსებული №49-52 და №55-70 ავტოსადგომები წარმოადგენს ღია ავტოსადგომებს. ღია ავტოსადგომები ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არ შედის და აქედან გამომდინარე, საერთო ფართობში ვერ დაფიქსირდება. თუმცა, შესაძლებელია ღია ავტოსადგომების ცალკე ფართობად დაფიქსირება. ამასთან, ღია ავტოსადგომის ფართობში დაფიქსირებული უნდა იქნეს მხოლოდ ის ფართობი, რომელსაც უშუალოდ იკავებს ღია ავტოსადგომი (მისასვლელი გზის გარეშე). თითოეულ მათგანზე ფართობები და ზომები დატანილ უნდა იქნას ცალ-ცალკე. ასევე, წარმოდგენილ 0.00 და +2.45 ნიშნულის გეგმებზე, „9-8“ და „ე-ა“ ღერძებში შეცვლილია გეგმარება.
სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შესწორებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1 დააზუსტოს მოთხოვნა საცხოვრებელ, საოფისე, საზაფხულო, შიდა ავტოსადგომების და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
1.2 დააზუსტოს მოთხოვნა ღია ავტოსადგომების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
1.3 წარმოადგინოს სამსახურის 2022 წლის 06 მაისის №5897244 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმის და გეგმების იდენტური გენ-გეგმა (ღია ავტოსადგომის ფართობების დატანით) და გეგმები გასწორებული ფართობების დატანით, გეგმარების ცვლილების გარეშე.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2022 წლის 25 მაისის №AR1900586 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge